ელენე მაცხონაშვილი

ყვავი რო მოვა

2021, მარგი

კენტავრი
Mythol.

Gk. **Kentauros**

არსება, რომელსაც აქვს ცხენის ტანი და ადამიანის გულმკერდი და თავი;

მოქმედი პირნი:

ყარამანი

ელენე

ცისია

მერაბი

სცენა პირველი

(მოქმედების ადგილი - გურია, ლანჩხუთის ზემო სოფელი. ყარამანის კარ-მიდამო და სახლი)

ცისია - მერიდება, მერაბიე, არც ვიცნობ მე მაგ ხალხს წესივრად და.

მერაბიე - მე ხო მიცნობ?

ცისია - შენ - კი.

მერაბიე - ჰოდა, გიჩივი, მეზობლად ცხოვრობს თვარა, ისე, მამასავითაა ჩემდა ყარამან ბიძია.

ცისია - შენ შედი მაინც ჯერ. ღამეა ახლა და კიდომ უფრო უხერხულია.

მერაბიე - წამოდი, გოგო, დღისით გაპარვა ვის გოუგონია?! (*აკაკუნებს)*

ელენე - ხო მშვიდობაა, ნენა, მერაბიე?

მერაბიე - კი, ელენე დეიდა, ცოლი მევიყვანე აგერ და.

ელენე - გამოპარულები ხართ ნენა?

მერაბიე - კი, ელენე დეიდა, და ვერ მივალთ დღეს სახლში.

ცისია - *(ჩუმად)* მომძებნიან ალბათ ჩემები.

ელენე - შემოით შვილო, შემოით. მერაბიე შუუკეთე ცეცხლს ქე შესციებია ბაღანას. რამდენი წლის ხარ, ნენა?

ცისია - თვრამეტის ვხვდები ზეგე.

მერაბიე - ყარამანი სადაა ?

ელენე - გაღმა სოფელში, ავანტყოფი დოუმძიმდათ, მოაკითხეს ყარამანს და გაყვა.

ცისია - ექიმია?

მერაბიე - ექიმზე მეტია ყარამან ბიძია! ამერიკაში რომ ჩვენი ცხენოსნები წევიდნენ, ერთი ყარამან ბიძია იყო და იქანე ისწავლა ყოლისფერი, მაგის მოურჩენელი კაცი არ არსებობს დუნიაზე.

ელენე - *(კედლიდან იღებს სურათს და ცისიას აჩვენებს)* აგი სურათი დედოფალთან გადეიღეს ინგლისში. თვალისჩინივით უფრთხილდება ყარამანი. *(ისევ უკან კიდებს)* ცხენის ხმაა, ზიგმუნდია მაგი, ვცნობ უკვე, მევიდნენ, გავშლი სუფრას და ვჭამოთ რაც გვაქ. *(გადის)*

ცისია - ზიგმუნდი ვინაა, მერაბიე?

მერაბიე - ცხენს დაარქვა ყარამანმა, ადრე მარტო ცხენი ერქვა და რო დაბრუნდა საქართველოში, იმის მერე ზიგმუნდს ეძახის, გახედე რა თეთრი და ლამაზია ზიგმუნდი.

ცისია - ყარამნიც რაფერი ლამაზია, ღმერთს ჰგავს მაგი, ამ ღამეში.

მერაბიე - რა იცი გოგო, რაფერია შენ ღმერთი?

ცისია - *(იცინის)* არ ვიცი მარა ამფერი მგონია. ასე დეიარება სულ?

მერაბიე - ჰო, სულ თეთრი ჩოხა აცვია რაც ჩამევიდა, თეთრი ყაბალახი, თეთრი ახალუხი, თეთრი წვერი და თეთრი ცხენი. მაგ ცხენზე ამხედრებული მარტო საექიმოდ დადის, სხვა რამეებიზა არ ღლის ცხენს, ღოღზეც აღარ გამოდის. თვარა ვითხუებდი და ცხენით წამოგიყვანდი.

ცისია - მრცხვენია, მერაბიე.

მერაბიე - რისი გრცხვენია გოგო, აგერ არ ვარ მე? გამარჯობა, ყარამან ბიძია.

ყარამან - გაგიმარჯოს ბიძია, ხომ ხართ ჯანმრთელად?

მერაბიე - ცოლი მევიყვანე, გამევიპარეთ და თქვენთან რომ დავრჩეთ ამაღამ?

ყარამანი - რამდენის ხარ ბიძიკო?

ცისია - თვრამეტის ვხვდები ზეგე.

ყარამანი - რა გქვია?

ცისია - ცისია მქვია, ყარამან ბიძია.

ელენე - *(შემოდის და ხის გობით, შემოაქვს საჭმელი)* მოით ბაღნებო, დასხედით. ყარამან, გადარჩა ის გაჭირვებული?

ყარამან - კი, გადარჩება! დოუტიე კიდეც წამალი და მოკეთდება, დამპირდა! *(ღვინოს ასხამს)* გაგიმარჯოთ, თქვენ რაფერც გაგიხარდებათ ისე იყავით და ისე იცხოვრეთ, არ დოუჯეროთ სხვას არავის, გულს უსმინეთ და კიდომ ხანდახან ერთმანეთს!

მერაბიე - თქვენ რაფერც ხართ, მასე მინდა მე და ცისია რომ ვიყოთ, ტკბილად რო ვიყოთ!

ყარამანი - უკეთესადაც შეიძლება, ბიძიკო. ჩვენ ნამეტანი ბევრი დრო გავატარეთ უერთმანეთოდ და არ ქნა მასე, არ იწანწალო ჩემსავით, შენდა მოგყავს და რომ მიიხუტებ, აღარ მეიშორო მერე, ლექსებიც წოუკითხე და მოუარე, ერთმანეთს მოუარეთ. რა იყო ბიჭო?

მერაბიე - არ ვიცი ლექსი საზეპიროდ, ყარამან ბიძია.

ყარამანი - ისწავლი. მაგასაც ისწავლი.

ელენე - სა ნახეთ ნენა ერთმანეთი?

ცისია - ჩემი და თქვენი სოფელი ეჯიბრებოდა გუშხამ, ლელობურთს თამაშობდნენ და რომ დევინახე მერაბიე, მეტი აღარავინ მიჩანდა მაგის მერე თვალში.

ელენე - მე დოღზე გევიცანი ყარამანი, ბახმაროზე. მაშინ სხვა ცხენი ჰყავდა, მარა ყარამანი, მისი მხრებით და დაწკეპილი ულვაშით იმფერი იყო, ვერ მოწყვეტდი თვალს. ვერც მოვწყვიტე და ქეც ვუყურებ მაგ დღეის იქით.

ყარამან - გავაგოთ ახლა ელენე და დავწვეთ. გათენდება აწი.

ცისია - ვიჯდებით ჩვენ...

ელენე - არა, ნენა. ჩემთან დაწობი შენ აგერ და მერაბიე კიდომ, ყარამანის ტახტზე.

ყარამანი - მე ძირს გამიგე ელენე, ასე მირჩევნია.

მერაბიე - ყარამან ბიძია, თამადა ხომ იქნები ჩემს ქორწილში?

ყარამანი - ვიქნები ბიძია, ვიქნები, გადაბრუნდი და დეიძინე ახლა.

სცენა მეორე

(მოქმედების ადგილი-გურია, ლანჩხუთის ზემო სოფელი. ყარამანის კარ-მიდამო და სახლი)

ელენე - დეითბილე, ყარამან, ფეხები, დაღლილი ჩანხარ.

ყარამანი - კი, დევიღალე. აგერ ცეცხლთან დამიდგი სკამიც და წყალიც.

ელენე - მერაბიე და ცისია იყო დღეს გადმოსული, შენთან აქვთ საქმე და მუალთ საღამოსო.

ყარამანი - ხომაა მშვიდობა, თუ იცი?

ელენე - პაწა შეწუხებულები მეჩვენნენ.

ყარამანი - ქორწილმა ვერ ამეიღო იქნება ხარჯი და ფარაზე დარდობს ბაღანა.

ჩვენ ხომ დავწერეთ, ელენე, საკადრისად?

ელენე - კი, აბა რაი? დოღზე რომ ვიბნევდი იგი ბეჭედიც ვაჩუქე ცისიას. აწი სა დავდივარ მაინც მე. თუ გოუჭირდებათ ქე გაყიდიან იმასაც.

ყარამანი - კაი გიქნია ნამეტანი.

ელენე - ჭიშკარია, მევიდა ვინცხა.

ყარამანი - გევიტან ამას სირცხვილია. მომე, ელენე, სუფთა და მშრალი წინდა.

მერაბიე - *(აკაკუნებს)* მე ვარ ყარამან ბიძია.

ელენე - შემოი, ნენა.

ცისია - გამარჯობა, ელენე დეიდა!

ყარამანი - გამარჯობათ, ბაღნებო! დასხედით.

მერაბიე - ვიდგები.

ყარამან - რა იყო, მერაბიე?

მერაბიე - აფერი.

ყარამანი - მაინც?

მერაბიე - ვერ ვიტყვი.

ყარამანი - დაწექი აგერ, ტახტზე, დახუჭე თვალები, მე სასთუმალს დაგიჯდები და მოგისმენ.

მერაბიე - ვერ ვიზამ მე მაგას, მრცხვენია.

ყარამანი - ჩემი?

მერაბიე - თქვენიც მარა, კიდომ უფრო ელენე დეიდასი.

ელენე - გავალ მე, კაკლის მურაბა მოგვართვეს გუშხამ, გორდელაძნებმა და იმას მოვძებნი, ჩაი რომ დავლიოთ მერე.

ცისია - არ გახვიდე ელენე დეიდა, ხომ იცი, 8 წლის რომ ვიყავი იმის მერე დედა არ მყავს მე და მოგეჩვიე მაგიზა ნამეტანი.

ყარამანი - დამზაფრეთ ბაღნებო, რა ხდება თქვით ახლა.

ცისია - მე დავწობი მაგ ტატზე, აა, დავხუჭავ თვალებს და მოვყობი. ყველაფერს მოვყობი. არ ვწევართ ჩვენ ერთად. არა, კი ვწევართ, მარა მარტო ვწევართ და მეტი აფერი. მეშინია მე და მერაბიეც დავზაფრე, გადვბრუნდებით ზურგებით და ვწევართ ასე, გვძინავს ვითომ და ვათენებთ ორივე. *(წამოჯდება, თვალს ახელს და ტირილს იწყებს)*

მერაბიე - ჩემი ბრალია, გოგო, მაგი მერე, შენ რეიზა ტირიხარ?

ყარამანი - მორჩით ახლა ორივე ბლუქუნს და მომისმინეთ. სიზმრებს რაფერს ნახულობთ?

მერაბიე - ცოტა გვძინავს ორივეს, და ისე, მე ცისია მესიზმრება სულ, გარბის და მივსდევ. კიდომ გრიგოლეთის ზღვაზე ვიყავით, ღელვა იყო ვითომ, ყარამან ბიძია, შევცურე მაგ ზღვაში და ცისია არ შემომყვა.

ყარამანი - იცოდი ცურვა?

მერაბიე - ცურვა რაფერ არ ვიცი, კი ვიცი.

ყარამანი - სიზმარში თუ იცოდი?

მერაბიე - არ ვიცოდი მგონია, ანდა კი ვიცოდი, მარა ღელვის მეშინოდა.

ცისია - ქორწილის მერე ამ დილას პირველად ჩამეძინა, პაწახანს მეძინა და მკვდარი დედაჩემი მესიზმრა, თუ არ გიყვარდა, რას მიყობოდიო? დოვუყვირე: მიყვარს დედა, რაფერ არ მიყვარს, მიყვარს-მეთქი და გამელვიძა. იშვიათად მესიზმრება ისე დედიკო...

ყარამანი - ბაღნებო, გეტყვით, რაც უნდა ქნათ. სიზმრებს კიდომ დოუკვირდით მერეც, ყოლისფერს ამბობს სიზმარი რომ იცოდეთ ჩვენზე. ჰოდა, დღეს ყველა რომ დეიძინებს, მერე შეით დასაძინებლად, გაათბე მანამდე სპალნა, მერაბიე, ბოთლში ცხელი წყალი ჩაასხი და შეაგდე ლოგინში დაწოლამდე მაგი ბოთლი. ჩააქრე სანთელი და არ დეეტაკო მაშინათვე ბაღანას. შენით არ გეიხადო, ცისია, გაგხადოს მერაბიემ, ნელა გაგხადოს და მეეფერეთ თან ერთმანეთს. ბევრი ეფერე, მერაბიე, ყურიდან დეიწყე, კისერშიც აკოცე და ძუძუებზეც. სადაც მიწდობით ყველგან აკოცეთ ერთმანეთს და არ შეგრცხვეთ, არაა მაგი სირცხვილი და არც უზნეობა არაა მაგი. მარა, ნელა ქენი მაგენი. ნამეტანი ნელა. თუ შეეშინდება ჩეეხუტე და თავიდან დეიწყე, ტუჩები დოუკოცნე ჯერ.

ელენე - გავალ მე გარეთ.

ყარამანი - წნევა ხომ არაა, ელენე, არ მომწონხარ რაცხა?!

ელენე - შემახურა პაწა და გავალ ჰაერზე, მურაბას მოვნახავ. *(გადის)*

ყარამანი - აფერი არაა საშიში, ბაღნებო. მაგის კეთებას ზოგიერთი უსიყვარულოდ ახერხებს და იმდენი ჟინია თქვენს თვალებში, კაის მეტი აფერი დაგემართებათ.

მერაბიე - სახლში დავლევთ ჩაის, ყარამან ბიძია.

ცისია - მადლობა და ბოდიში კიდომ! *(გადიან)*

ელენე - *(შემოდის)* არ მეიცადეს ჩაიზე?

ყარამანი - არა. ელენე...

ელენე - რა იყო ყარამან?

ყარამანი - არ დამიგო დღეს ლოგინი.

ელენე - მიხვალ თუ?

ყარამანი - არა.

ელენე - აბა?

ყარამანი - შენთან ვწობი.

ელენე - დაწექი.

ყარამანი - ჩავაქრო ჭრაქი? ხომ ხარ კარგად?

ელენე - კი, კარგად ვარ.

ყარამანი - აბა?

ელენე - *(მორცხვად)* მეორედ შემახურა ახლა...

ყარამანი - ჩავაქრობ ჭრაქს და მოგიწობი.

სცენა მესამე

(მოქმედების ადგილი-გურია, ლანჩხუთის ზემო სოფელი. ყარამანის კარ-მიდამო და სახლი)

ყარამანი - წამიკითხე ელენე, რას ჩივა ამ კვირის გაზეთი.

ელენე - "თბილისში ქოლერის შემთხვევებთან დაკავშირებით, დიდი კაცთმოყვარეობის გრძნობით განმსჭვალული სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის ხელმძღვანელობა სწირავს თბილისის გუბერნიის უღარიბესი მოსახლეობის სასარგებლოდ საგრძნობ დიდ თანხას - 20 ათას მანეთს. ეს შემოწირულობა ქოლერის საწინააღმდეგო ბრძოლისთვისაა იმ ღონისძიებათა მისახმარებლად, რომელსაც მთავრობა უკვე ეწევა, - წერია კავკასიის მთავარმმართებლის სამოქალაქო შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუბერნიო სამმართველოს 1-2 ივლისის ოქმებში."

ყარამანი - კიდომ?

ელენე - „9 აპრილს შუადღისას ავად გახდა მუშა ზევნორე თვარაძე და საღამოთი იგი ცოცხალმკვდარი მოიყვანეს მინდვრიდან საგურამოში. შემთხვევა საეჭვოა, ადგილობრივი მამასახლისი უმოქმედობს. ამბობენ, მაზრის ექიმიც ასევე... გთხოვთ მოავლინოთ ექიმი. გწერთ, ილია ჭავჭავაძე".

ყარამანი - ფინთადაა, ელენე, საქმე. კიდომაა ქოლერაზე რამე?

ელენე - მთელი გაზეთი მაგაზეა, ყარამან, „ივერია" წერს, რომ მდიდარ ბაქოსგან განსხვავებით, ტფილისი მომზადებული დახვდა ეპიდემიას: „თბილისის თვითმმართველობამ დაინახა, რომ ხოლერა სრულებითაც არ ხუმრობსო და საშინელის მრისხანებით უპირებს განადგურებას მთელს კაცობრიობასო, რაც კი რამ მოეძებნებოდა, ყველაფერს მოუყარა ქალაქმა თავი-თავს და იარაღად აქცია, რამდენიმე ათასი თუმანი ფული დასდო მცხოვრებთა დასახსნელად. დაიქირავა თითქმის ოცამდე ექიმი და დაავალა, რომ საცა კი ხოლერამ იჩინოს თავი, გაქანდით, მუქთად უშველეთ გაჭირვებულს და ხოლერიანი ადგილები ისე გაასუფთავეთ, რომ იქ ბაცილებს აღარ შეეძლოთ გაძლებაო. რაც კი საეჭვო საცმელები ჰნახოთ, ქვეშსაგები, ყველაფერი გადაწვით და გადაბუგეთ - მე ვზღავ ერთი-ორადაო. ამისთანა თადარიგის დაჭერამ თქვენცა ჰხედამთ რაცა ჰქნა".

ყარამანი - ეჰ, ნეტა არ მჭერმეტყველობდნენ და რამეს შველოდნენ.

ელენე - მიხვალ უკვე?

ყარამანი - მივალ, ელენე, მივალ და როის მუალ ვინ იცის. აგი, ჩვენი სოფელი ხომ ჩაწვა და გვერდითა სოფლებიც მასეა. რამდენი წამალი უნდა დავარიგო, ჩემს თავს არ დევეძებ და გასძვრა სული ზიგმუნდს.

ელენე - ტვინი რომ ქონდა მაგ ცხენს დამარწმუნე და ახლა დამაჯერებ რომე სულიც ქონებია?

ყარამანი - არ ვიცი, ისე ვთქვი მაგი, ლამაზად, თვარა ზურგზე გადაშპა ტყავი სინამდვილეში. წამლები დამაქ მაგით, მე არ ვჯდები, ფეხით დავდივარ. მერიდება ცხენის.

ელენე - მეც რომ დამემართოს?

ყარამანი - მოგარჩენ, შე ქალო, ექიმი შორიდან მეყოლება მოსაყვანი თუ რაი?!

ელენე - და მეიცა ელანძე, შენ რომ დაგემართოს მერე რა ეშველება ამ ხალხს?

ყარამანი - რამე ეშველებათ.

ელენე - შენ? შენც ხომ მეირჩენ თავს?

ყარამანი - მაგი არ ვიცი. *(ელენეს კოცნის და გადის)*

სცენა მეოთხე

(მოქმედების ადგილი-გურია, ლანჩხუთის ზემო სოფელი. ყარამანის კარ-მიდამო და სახლი)

ცისია - მე არ მყავს მეტი არავინ, ისევ თქვენთან მევედი. სიმინდს რომ გადაცლის ფარაზე, მერაბიეს დედას ქალაქში მივყავარ, უშვილობაზე შეგამოწმოს ექიმმა უნდაო.

ელენე - კიმარა, რეიზა ჩქარობს ლამარა?

ცისია - მართლა უშვილო თუ ვიქენი და დაგვაშორეს, მერე მაგის გულობიზა ხომ მევიკლავ თავს.

ელენე - მაგას მერაბიე რაფერ იზამს?

ცისია - ახლა კი ვუყვარვარ მარა, თუ არ გოვუჩენ შვილს, ხო გადამიყვარებს?

ელენე - გოუჩენ!

ცისია - რო ვერ გოვუჩინო და გადოვუყვარდე?

ყარამანი - არ გადოუყვარდები!

ცისია - რო გადოუყვარდე?

ყარამანი - არ გოდოუყვარდები!

ცისია - რა იცი შენ?

ყარამანი - მე არ გადამიყვარდა! *(გახედავს ელენეს და იცრემლება ორივე)* აგი, ბოთლი წეიღე, ღამეც მოსვი და დილითაც. მერე ჭამე, რაც გექნებათ ყველაფერი ჭამე. თუარა ელენესთან მოი და აგი გაჭმვს. გეყოლება ბაღანა. აგი წამალი რო ადრე მცოდნოდა, ჩვენც გვეყოლებოდა. (*ცისია კოცნის ორივეს და მიდის)*

ყარამანი - *(წვება ტახტზე)* მაპატიე, ელენე, ყველა კაი მკურნალს, მისი მკურნალი სჭირდება კიდომ ცალკე. გადევიღალე ეტყობა და ამომასხა რაცხამ. აფერს არ ვნანობ მე და აფერი არ მიჭირს შენს გვერდით. ამდენი ავადმყოფის ნახვამ და მოვლამ მომაქცია ასე. ჯერემ კი ვშველი ყველას და არცერთი კაცი და ქალი არ მომკდომია, ბაღანა მითუმეტეს, ღმერთმა დამიფაროს. კოლია ხომ იცი შენ? კი, იცი ნაწყენი ხარ ახლა და არ მიპასუხებ. კოლიასაც დეემართა ქოლერა, სხვა რამეებიც აწუხებს მაგას და მოკტება მალე, მარა ქოლერას არ გავატან მაგის თავს, იცოცხლოს ჯერემ. სიცხიანები მხვდებიან, გული ერევათ მაგენს და ზოგს კუჭი აქ აშლილი, ნამეტანი სისუსტე იცის ქოლერამ, მარა შველის ჩემი წამალი და მაგი მშველის მეც, რო არ გადევირიო ბოლომდე. დევიღალე ელენე, ტანიც დამეღალა. ცოტა მძინავს და გუშხამ კიდომ, ნამეტანი ფინთი სიზმარი ვნახე, გლახა იყო, კენტავრი ხომ იცი, ელენე, რაია? ცხენი და კაცი რომაა ერთად. კი იცი, მარა გაბრაზებული ხარ ახლა და არ ამეიღებ ხმას. ეეე, კენტავრივით ვიყავივით მე და ზიგმუნდი, საცხა უცხო ადგილას ვიყავით ელენე და რაცხა დიდ, შავ ჩიტს ვებრძოლებოდით, გვერჩოდა მაგი ჩიტი, გასროლილი ისარივით ეიჭრებოდა ცისკენ, გასწორდებოდა იქანე, დაგვინახავდა ჩვენ ქვეით, დეეშობოდა, დაგვაცხრებოდა და გვკორტნიდა, მეც მტკიოდა და ზიგმუნდსაც, ერთად გვტკიოდა ორივეს და ნამეტანი გლახა იყო, რო გევიღვიძე ვიფიქრე წყალს მუუყობითქო, წყალი მაინც რას იზამდა? ქეც გადამავიწყდა მერე. შენ გიყობი ახლა. შენ ხარ ელენე ჩემი მკურნალი! *(პაუზა)* შენ ხარ წყალი. წყალი ხარ და შენ გიყობი. შენ რომ არ მშველოდე, მეც ვერ ვუშველიდი იმ ხალხს. დევიღალე, ელენე, რავა ვიტყვი ამას შენი და ზიგმუნდის გარდა ვინმესთან, მარა დევიღალე.

ელენე - ყარამან, მოი აგერ, თბილია ჩემი საწოლი. თუ გერჩივნოს აქანე დაწექი შენც.

ყარამანი - კი, მასე ვიზამ. ჩავარობ ჭრაქს და მოგიწობი!

სცენა მეხუთე

(მოქმედების ადგილი-გურია, ლანჩხუთის ზემო სოფელი. ყარამანის კარ-მიდამო და სახლი)

ელენე - რეიზაა, ყარამან, აი ჩოხა სისხლიანი, რა გაათეთრებს ამას?

ყარამანი - ნინაიას მაზლმა ხელი გადეიჭრა და გასაკერი შეიქნა მაგი, ვერ ჩოუსწრებდნენ ქალაქამდე და გავკერე მე.

ელენე - იცოდი მაგი, ყარამან?

ყარამანი - რა?

ელენე - რაფერ უნდა გაგეკერა?

ყარამანი - მცოდნია.

ელენე - რაფერაა ახლა?

ყარამანი - კარგად. მარა კიდომ იზამს მაგი მაგას.

ელენე - რას ჩივი შე კაცო, რეიზა?

ყარამანი - სხვანაირად უყურებს მაგი ნინაიას და ესირცხვილება მისი თავის. ქეც უნდა ესირცხვილებოდეს ისე. მე არ ვკიდებ ხოლმე ხელს, ვუჩივი გასაჭრელია და რაიონში ჩეიყვანეთქვა, ახლა ვერ ჩუუსწრებდნენ და ნამეტანი ევიღე ჩემ თავზე, იმ გაჭირვებულზე თეთრი ვიყავი მე, მარა წარბი არ შემიხრია, ელენე. რომ მოვრჩი მერე მივხვდი, რო მეშინოდა თურმე... კინაღამ გავთავდი კაცი.

ელენე - არ მინახიხარ მე შეშინებული შენ, ყარამან.

ყარამანი - გიჩივი, დღეს ვიყავითქვა. მთავარია გადარჩა და რას დევეძებ აწი?!

ელენე - ჰო, კაი ამბავი ხომაა მაგი და, მე კიდომ, ორი ერთმანეთზე უკეთესი ამბავი მაქ შენდა.

ყარამანი - რაია, ელენე?

ელენე - ამ კვირის გაზეთია, დოუგდე ყური: 4 სექტემბრის „ივერია“ აქვეყნებს ვრცელ სტატიას სათაურით „ქოლერის საწინააღმდეგო ვაქცინის (ჩირქის) აცრა“, რომელშიც “პარიჟის პასტერის ინსტიტუტის ტეხნიკური სამიკრობო ლაბორატორიის” მიღწევებზეა საუბარი: “ზღვის გოჭებსა, ბაჭიებსა და მტრედებზედ ცდამ გვიჩვენა, რომ ჩვენ მიერ მოგონილს ხოლერის საწინააღმდეგო ვაქცინას (ჩირქი) იგივე ზედმოქმედება აქვს სხვა უფრო ღონიერის აგებულების ცხოველებზედაც. ამ გარემოებამ წაგვაქეზა და გადავწყვიტეთ ადამიანისთვისაც აგვეცრა“. რა გატირებს, კაცო?

ყარამანი - მიხარია მაი ამბავი, ბევრი გადარჩება მასე, ელენე.

ელენე - ყარამან, ისე შენ წამალს რეიზა არ აგზანი ქალაქში? აქანე ხო მოარჩინე ყველა?

ყარამანი - მეორე ამბავი რაფერია?

ელენე - ვიცოდი რო არ მიპასუხებდი და იმიზა არ გეკითხებოდი აქამდე.

ყარამანი - რა წერია კიდომ?

ელენე - თქვენზე წერენ აქანე, ყარამან, ამდენი წელი გევიდა და კიდომ წერენ.

ყარამანი - რაიო?

ელენე - ჯერ კიდევ მაშინ, ამერიკული გაზეთები წერდნენ ქართველების განუმეორებელ ჯირითზე: "ისინი უნაგირზე ხელებზე და ფეხებზე დამდგარი აჭენებდნენ ცხენებს". "კაზაკი" ცხენოსნების შესახებ ინფორმაციამ მალე სამეფო ოჯახის ყურამდეც მიაღწია. 1892 წლის 25 ივნისს, ქართველები ივანე მახარაძის თაოსნობით, წარდგნენ დედოფლის, სამეფო ოჯახისა და სხვა არისტოკრატების წინაშე. წარმოდგენით აღფრთოვანებულმა დედოფალმა ვიქტორიამ ალბომი გადასცა მათ, სადაც მათი წარმოდგენის ამსახველი ფოტოები იყო მოთავსებული.

ყარამანი - რამდენი ხანია ივანეც არ მინახავს. ვერ მივალ ხელცარიელი.

(შემოდიან მერაბიე და ცისია)

ცისია - ყარამან ბიძია, გულის რევები კაი ხანია აღარ მაქ, თქვენ რომ მომეცით მშველის მაგი წამალი. მარა ქვემოთ მქაჩავს რაცხა და სიზმრები მაქ გლახა. ნამეტანი გლახა. გლახა და ერთნაირი.

მერაბიე - ყარამან ბიძია, აღარ შემიძლია, გევილიე, გავთავდი კაცი, ასე ტირის აგი სულ და მალე ხო უწევს გაჩენა?

ელენე - დაწეულია მუცელი და მალე წესით.

ყარამანი - კი, ნოემბრის აქედან ვუცდით და აწი ყოველდღეა მაგი. ცისია, ორსული ქალები ქე ტირიან, ბიძია, მარა, შენ ნამეტანი რეიზა ყობი სიზმარს?

ცისია - მაგი თქვენ მასწავლეთ. დოუკვირდი სიზმარს იქით მოგიყობა შენზე ყოლისფერსო. სიზმარში უფრო ნამდვილები ვართო და დაგიჯერეთ მეც, დევიჯერე მაგენი. *(წვება ტახტზე)* სამი დღის წინ რომ თენდებოდა, დედიკო დამესიზმრა და ყოველდღე მესიზმრება მერე. ჩვენს ეზოში დგანა ვითომ მაგი, ხესთან დგანა და ასე მიჩივა: მომენატრე, დედიკო, და ყვავი რო მოვა თქვენს ეზოში, ამ ხეზე დაჯდება და დეიჩხავლებს, სანამ მეილოგინებ და სანამ ბიჭი გეყოლება, მუალ და ქე წამოგიყვან ჩემთანო. პარასკევი სანამ გათენდება მანამდე დეიჩხავლებს მაგი. მეც მაგ დროს მუალ, დედიკო, დაგიცდი ხესთან და წამევიდეთ აქეთო. მეშინია ახლა მე, ყვავების მეშინია. რომ დეიჩხავლოს ამაღამ, მოვკვდები, ყარამან ბიძია. მჭირს რაცხა მე და ვერ გავაჩენ ამ ბაღანას.

მერაბიე - რას ბოდიალობ, გოგო, აღარ გეიმეორო მაგი! აგერაა ყარამან ბიძია და ქოლერას მეერია აგი კაცი, შენ რომ გჭირდეს რამე ხომ შეგატყობდა?

ელენე - *(მიდის და ცისიას ეფერება)* არ მუა ყვავი, არც დეიჩხავლებს, არ ჩერდება თოვა. ხომ ხედავ იმფერი სიცივეებია, ნენა, ყვავიც არ გეიგდება გარეთ.

ყარამანი - ჰო, რაის ყვავი მუა, არ დეიჯერო მაგი შენ. აქამდე რეიზა არ მომიყევი მაგი, ბიძია? რეიზა ამეიღამე თვალები?

ცისია - სირცხვილიაო, მერაბიემ. გადაყოლილები ხართ ჩვენდა და საქვეყნო საქმეებს შობა ყარამან ბიძია, ქვეყანა ხალხი ყავს მისახედი და გადასარჩენი და ახლა კიდომ, შენი სიზმრებიზა რაფერ უურიოთ ტვინიო... მარა კიდომ რო დამესიზმრა და მერე კიდომ იგივე, დღეს მისით წამომიყვანა მერაბიემ.

ყარამანი - ნუ გეშინია, ბიძიკო, კაია რომ მომიყევი. აი წამალი წეიღეთ. დალიე და ყელს გახსნის, დაარბილებს.

ცისია - ყელზე აფერი არ მჭირს.

ელენე - სხვა ყელზე გიჩივა მაგი, ნენა.

ყარამანი - ადვილათ გააჩენ უფრო, მე თუ არ ვიქენი სახლში, გადმოი შენ, ელენე აგერაა და პირველი მოლოგინებაა მაი, სანამ გეიხსნება ბოლომდე ყელი, ქე მუალ მეც. არ დატიო, ბიჭო, ბაღანა მარტო.

მერაბიე - არა, რას ჩივი, ყარამან ბიძია?! რავა დავტიებ?! რომ ტირის ვერ ვუძლებ მაგას და ვიცი ხოლმე კარში გავარდნა, მარა არ გავალ აწი.

ყარამანი - გაღმა სოფელში მივალ მე, გული აწუხებს კოლიას ისევლე. არ ვიცი რამდენ დღეს გასტანს მაგი. აქანე ჭკუით იყავით. არ მუალ ამაღამ, მერე არ ვიცი. მუალ, ალბათ.

სცენა მეექვსე

(მოქმედების ადგილი-გურია, ლანჩხუთის ზემო სოფელი. ყარამანის კარ-მიდამო და სახლი)

ელენე - წამოგსვამ ცოტას და ისუნთქო იქნება უფრო.

ყარამანი - ფილტვებია აგი, ელენე და დუნიაზე ვერცერთი ექიმი ვერ უშველიას ამას აწი.

ელენე - *(ტირილს იწყებს)* რას იძახი ახლა, კაცო, მეგონა გუშინ სიცხისგან ბოდავდი.

ყარამანი- გიკვდება, ელენე, კაძახი.

ელენე - შენი წამალი? ხომ გაქ ყარამან წამალი? რას გეიყურსე, ამეიღე, ყარამან, ხმა, შემომხედე ადამიანო და მითხარი, რომე გიშველის შენი წამალი.

ყარამანი - არ მიშველის, ელენე.

ელენე - რეიზა, ყარამან? რეიზა - მეთქი?!

ყარამანი - ელენე...

ელენე - თქვი, ყარამან, თქვი...

ყარამანი - წყალია მაგაში, ელენე, წყალი და მარილი.

ელენე - აბა, რაფერ შველოდი ავანტყოფებს?

ყარამანი - ვეუბნებოდი მოგარჩენთქო და სჯეროდათ.

ელენე - შენ? შენ არ გჯერა მერე არაფრის?

ყარამანი - მე ღმერთის მჯერა, მგონი, ელენე.

ელენე - და რას ჩივა შენი ღმერთი? რეიზა გკლავს მართლა უღმერთო ხომ არაა მაგი?! სად გაცივდი, ყარამან, სად იყავი მაგ ღამეს, ყარამან, სად და ვისი გულობიზა დეიღუპე და დამღუპე?

ყარამანი - გეიხედე გარეთ, ჭიშკარია.

ელენე - ცისიაა და მერაბიე.

ყარამანი - დეეწყო ეტყობა და სანამ არ გააჩენს, არ იტყვი ჩემზე აფერს, არ იტირებ და თუ ვერ შევძელი ფეხზე დგომა, წამეშველები იცოდე. ჰე, შეწყვიტე სლუკუნი!

(შემოდიან ცისია და მერაბიე)

მერაბიე - აჩენს მგონია უკვე და მიშველეთ რაცხა!

ცისია - მაგას კიარა მე მიშველეთ რაცხა.

ყარამანი - ცხელი წყალი დამჭირდება, ელენე, სუფთა ტილოები და თუ დაგიძახე, მოი, დამეხმარე.

მერაბიე - ქალაქში ხომ არ ჯობდა წაყვანა?

ელენე - რაის ქალაქში ჩახვალ, მერაბიე, ამ ამინდში, თოვლია, ბიჭო, ყელამდე. სამი დღეა ბარდნის და რა იქნება აბა?! სულ სობელი მოვიდა ყარამანი გუშინ დილას, სიცხე მისცა, მარა კარგათაა ახლა. ისე ახველებს პაწას. მიზდა.

მერაბიე - სა იყო?

ელენე - არ ვიცი.

მერაბიე - მეშინია!

ელენე - მეც მეშინია, მერაბიე.

მერაბიე - ახლა მივხვდი, რაფერ მყვარებია.

ელენე - მეც, მეც ახლა მივხვდი მაგას, ნენა.

(სხედან სიჩუმეში, ისმის ბავშვის ტირილის ხმა)

ყარამანი - მერაბიე, ბიჭია, ბიჭო! გილოცავთ, ბიძია! კაი ჯანმრთელი ბაღანაა! ჯდომით კი იყო მაი მამაძაღლი, მარა ნამეტანი ყოჩაღია შენი ცოლი.

მერაბიე - ყარამანს დავარქუმთ მაგას. მასე ვიფიქრეთ მე და ცისიამ.

ყარამანი - რაფერც თქვენ გაგიხარდეთ, ისე ქენით. ელენე, მიხედე ახლა შენებურად ორივეს, ქალსაც და ბაღანასაც. დავწობი მე.

მერაბიე - ხომ ითამადებ მაგის ნათლობაში, ყარამან ბიძია?

ყარამანი - ვერ დაგპირდები მაგას, მარა შენ დამპირდი ახლა რასაც გეტყვი, ყოლისფრს შემისრულებ და ბევრს აფერს არ მკითხავ.

მერაბიე - რაც გინდა იგი მთხუე, ყარამან ბიძია!

ყარამანი - მერაბიე, თოფი გეიტანე და ისროლე. ორჯერ ისროლე.

მერაბიე - ორჯერ რეიზა?

ყარამანი - ერთი ბაღანა რომ დეიბადა და მერე ზიგმუნდს ესროლე. *(ელენეს უყურებს მერაბიე)* შეიძლება მართლა აქ ცხენს სული და ვერ გაძლებს მაგი უჩემოდ. (*ელენე თავს უქნევს თანხმობის ნიშნად. ისმის ორი გასროლა და ცხენის ჭიხვინი)*

ელენე - ამ სურათს ვიზამ საფლავზე, ყარამან, დედოფალთან ერთად რომ ხართ.

ყარამანი - არა, მაი ფინთიკუშკა დედოფალი ივანეს გუუგზავნე, მახარაძეს. იმას ქონდეს და მე ჯერემ მარტო მირჩევნია. მერე კიდომ ხომ მყავს მე ჩემი დედოფალი და ასი წლის მერე ხომ მოხვალ იქანე და ხომ მომიწობი ?

ელენე - კი, მუალ!

ყარამანი - სანამ საზეპიროდ ვიცი ლექსები მანამდე მოი, აქანე ვერ გავბედე და იქანე წაგიკითხავ.

ელენე - კი, ჩავაქრობ ჭრაქს და მოგიწობი!

ყარამანი - ელენე, აგი არ დაგავიწყდეს და მერაბიე ცოლ-შვილს რო მეისიყვარულებს, მერე უთხარი...

ელენე - რა ვუთხრა, ყარამან? ყარამან, რა ვუთხრა, ჰა? ყარამან, რა ვუთხრა მერაბიეს? ყარამან! ყარამან! ყარამან!

ყარამანი - უთხარი, მაგის ეზოში, ხესთან, მკვდარი ყვავები ყრია. არ დამიმარხავს მე მაგენი და თოვლი რომ გადნება, არ დატიოს მასე, თვარა მიხდება ცისია ყოლიფერს.

[ქვრება ჭრაქი. სიბნელე.]